



NT-pro BNP-ის გამოყენების ალგორითმი

NT-pro BNP-ის გამოყენების ალგორითმი, როცა გულის ქრონიკული უკმარისობა პაციენტს დადგენილი არა აქვს და პირველად მიმართავს ექიმს.



NT-pro BNP-ი გამოირჩევა მაღალი სენსიტიურობით (97%), თუმცა არა აქვს მაღალი სპეციფიკურობა (50%). ამიტომ ისეთ პაციენტებთან, რომელთაც პირველად აღმოუცენდათ ჰაერის უკმარისობის ნიშნები, იგი არ გამოიყენება დიაგნოზის დასასმელად, არამედ გამოიყენება გულის უკმარისობის ალბათობის გამოსარიცხად.

ჰაერის მწვავე უკმარისობის დროს NT-pro BNP-ის ტესტის გამოყენების ალგორითმი



NT-proBNP-ის დონე 300 pg/ml-დან ასაკით დადგენილ დონემდე ე.წ. რუხი ზონაა (gray zone). რუხი ზონა მიუთითებს, რომ არ არის გამორიცხული, გულის უკმარისობა იყოს სიმპტომების გამომწვევი მიზეზი და შესაძლებელია დავიწყოთ მისი მკურნალობა.

NT-pro BNP-ის რეკომენდებული დონეები მწვავედ განვითარებული ჰაერის უკმარისობის სადიაგნოსტიკოდ	
გულის უკმარისობა შესაძლებელია to rule in	
< 50 წელი	> 450 pg/ml
50-75 წელი	> 900 pg/ml
> 75 წელი	> 1800 pg/ml
გულის უკმარისობა გამორიცხულია to rule out	
ასაკზე არ არის დამოკიდებული	< 300 pg/ml

NT-proBNP-ის გამოყენება გულის ქრონიკული უკმარისობის დროს

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გულის ქრონიკული უკმარისობის დროს ზღვარი დაბალ და მაღალ რისკებს შორის არის 400 pg/ml. ანუ < 400 pg/ml ითვლება დაბალი რისკის ჯგუფად, > 400 pg/ml ითვლება მაღალი რისკის ჯგუფად.

* – საქართველოში ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია.